სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 მარტი, 2026 წ.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/12

„ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №07-01/10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 19 მარტის №336423 სამსახურებრივი ბარათის, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (№07-02/02, 24/03/2026 წ.) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. **შევიდეს ცვლილება** „ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №07-01/10 გადაწყვეტილებაში, **კერძოდ,** №1 დანართში **„ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი“** - დაემატოს ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის მონაწილეობასთან დაკავშირებით რედაქციები) და წესი და მასზე თანდართული №1-3 ფორმები **ჩამოყალიბდეს ახალი,** თანდართული **რედაქციით (№1 დანართი).**
2. გადაწყვეტილება და კოდიფიცირებული „ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი“ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიული ცნობარის ველებში: ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“; ,,წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები“; სტუდენტთა გზამკვლევში“ ჩანაცვლდეს №28 დანართი; ასევე განთავსდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში ,,მარეგულირებელი დოკუმენტები“).
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს,

სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ფაკულტეტებს და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**

„ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №07-01/10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №07-01/12 გადაწყვეტილების

დანართი №1

ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის

ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა, ასევე მასწავლებლის მომზადების/სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა (შემდეგში - სტუდენტები) მონაწილეობით საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის (შემდეგში - ,,სტუდენტური კონფერენცია“/,,კონფერენცია“) ჩატარების რეგულაციას, მათ შორის: კონკურსის გამოცხადების, სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომების წარდგენის, შეფასების, შერჩევის, საორგანიზაციო პროცედურებსა და მონაწილეთა დაჯილდოების/წახალისების წესს.

2. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების მიზანია:

ა) სტუდენტთა მიერ სწავლის პროცესში მიღებული დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა;
ბ) სტუდენტთათვის სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება;
გ) ახალგაზრდა მკვლევარი სტუდენტების წახალისება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

3. ბსუ-ს რექტორი ყოველწლიურად იღებს გადაწყვეტილებას ბსუ-ში <u>სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის</u> ჩატარების მიზნით კონკურსის (მათ შორის უმაღლესი განათლების <u>შესაბამისი საფეხურის</u> სტუდენტებისათვის ან/და პროფესიული სტუდენტებისათვის) გამოცხადების შესახებ.

4. კონფერენციის <u>მონაწილეები შეიძლება იყვნენ</u> **სხვა** უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები, კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად.

5. სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი სტუდენტის (სტუდენტების)/პროფესიული სტუდენტის (სტუდენტების) სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს: ბსუ–ს აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირი, ბსუ-ს ემერიტუსი, დოქტორანტი (რომელსაც გავლილი აქვს სასწავლო

კომპონენტი), ასევე მოწვეული მასწავლებელი ან მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებელი. დასაშვებია სამეცნიერო ნაშრომს ჰყავდეს ერთი თანახელმძღვანელი, ამასთანავე, დასაშვებია ერთი პირის მიერ ერთდროულად სამი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა (ან თანახელმძღვანელობა). აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა საკონფერენციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის იმავე სტუდენტის საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

6. სტუდენტური კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯი (კონკურსში გამარჯვებული საკონფერენციო ნაშრომების ავტორების წახალისების ღონისძიებები, სერტიფიკატების დამზადების და კონფერენციის ჩატარების საორგანიზაციო სხვა ხარჯი) ფინანსდება ბსუ-ს ბიუჯეტიდან.

მუხლი 2. სამეცნიერო ნაშრომის შესრულება-გაფორმება

1. კონკურსში მონაწილეობისათვის სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა შესაძლოა წარადგინოს არაუმეტეს 2 (ორი) ნაშრომი, ამასთან, ერთ დარგობრივ მიმართულებაზე - მხოლოდ 1 (ერთი). გარდა ამისა, დასაშვებია, ერთდროულად მხოლოდ ორი პირის მიერ ერთი სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა (თანაავტორობით).

2. საკონფერენციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად ან/და სხვა სტუდენტთან/პროფესიულ სტუდენტთან ერთად (თანაავტორობის შემთხვევაში) შესრულებულ სამუშაოს, რომელშიც უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა.

3. სამეცნიერო ნაშრომში უნდა შესრულდეს წინამდებარე წესის და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული **„ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის“** მოთხოვნების შესაბამისად. ნაშრომში გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდი, შეგროვდეს შესაბამისი მონაცემები და განიმარტოს ახალი და განყენებული მონაცემები და/ან სიტუაციების ანალიზი, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდის გამოყენებით ჩამოყალიბებული უნდა იქნეს დასაბუთებული დასკვნა.

4. სამეცნიერო ნაშრომი ექვემდებარება სავალდებულო შემოწმებას პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. ნაშრომის ორიგინალობის დასადასტურებლად, პროგრამის მიერ დაგენერირებულ რეპორტში ტექსტური მსგავსების ინდექსი არ უნდა აღემატებოდეს (20%)-ს. აღნიშნულ ნორმაზე მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში, ნაშრომი მოიხსნება კონკურსიდან.

5. სამეცნიერო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონკურსში მონაწილე სტუდენტი სწავლობს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე. ასეთ შემთხვევაში სტუდენტები წარმოადგენენ შესაბამისი პროგრამის ენაზე შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომს.

6. სამეცნიერო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს, ხოლო დამატებითი დანართები - 5 გვერდს.

7. სამეცნიერო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე წესზე თანდართული შემდეგი სტრუქტურის შესაბამისად (წესის თანდართული **ფორმა №1):**

ა) ნაშრომის შესახებ ინფორმაცია/თავფურცელი;

ბ) აბსტრაქტი;
გ) შესავალი;
დ) ძირითადი ნაწილი;
ე) დასკვნა;
ვ) გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია.

მუხლი 3. სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ სამართლებრივი აქტი და საორგანიზაციო ღონისძიებები

1. სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით <u>განისაზღვრება:</u>
ა) კონფერენციის თემატური სექციები და <u>შესაძლებელია</u> სექციების მიხედვით განისაზღვროს პრიორიტეტული საკონფერენციო საკითხებიც/თემატიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში - არაუმეტეს 10 საკითხისა);
ბ) კონფერენციის ჩატარების თარიღი, ნაშრომების წარდგენისა და შეფასების ვადები (პირველი და მე-2 ეტაპის);
გ) ბსუ-ს საორგანიზაციო კომიტეტის, სამეცნიერო კვლევების სამსახურის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ან/და სხვა სტრუქტურული ერთეულების და შემფასებელი კომისიების მიერ წინამდებარე წესით გათვალისწინებული აქტივობის/ღონისძიების განხორციელების ვადები;
დ) კონკურსის მონაწილეთა შორის გამარჯვებული საკონფერენციო ნაშრომების ავტორთა გამოვლენის ვადა;
ე) კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი;
ვ) კონფერენციის ორგანიზებულად წარმართვისათვის სხვა აქტივობები და მათი განხორციელების ვადები.

2. **კონკურსის ჩატარების მიზნით კონკურსის გამოცხადების აქტით განისაზღვრება განსახორციელებელი შემდეგი აქტივობები (ღონისძიებები) და ვადები:**

ა) სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დარეგისტრირება ბსუ-ს პორტალზე (კონკურსის გამოცხადების შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანებით** ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის ან/და სხვა უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის/პროფესიული სტუდენტების მონაწილეობის დაშვების შემთხვევაში, ამ პირების (რომლებიც არ არიან დარეგისტრირებული ბსუ-ს პორტალზე) კონფერენციაში მონაწილეობისათვის განისაზღვრება ვადა სამეცნიერო ნაშრომის სათაურის და სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ წერილობითი განცხადებისა და სამეცნიერო ნაშრომის ელექტრონული ვერსიის ბსუ-ს ოფიციალური ელფოსტის საშუალებით წარმოდგენისათვის);
ბ) საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის (შედგენილი წინამდებარე წესის **№1 ფორმის** შესაბამისად) ორიგინალობის (პლაგიატის არარსებობის შესახებ) სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის განცხადების (შედგენილი წინამდებარე წესის **№2 ფორმის** შესაბამისად) და ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი განცხადების/დასკვნის (შედგენილი წინამდებარე წესის **№3 ფორმის** შესაბამისად) განთავსება/დარეგისტრირება (პროფესიული და სხვა უსდ-ს სტუდენტების შემთხვევაში - ელფოსტით, ხოლო ბსუ-ს სტუდენტების შემთხვევაში - ბსუ-ს პორტალზე);

გ) კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების შემოწმება პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული პროგრამის მეშვეობით და მხოლოდ დადგენილი ორიგინალობის ნორმის მქონე დაშტრიხული ნაშრომების მიწოდება შესაბამისი სექციების შემფასებელი კომისიებისათვის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ;

დ) ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ სამეცნიერო ნაშრომების პირველ ეტაპზე შემფასებელი კომისიის (არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით) შექმნის შესახებ ინიციატივის/სამსახურებრივი ბარათის ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა და ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება (სამეცნიერო კვლევების სამსახურისა და რექტორის მოადგილის ვიზირებით);

ე) რექტორის ბრძანებით შექმნილი სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების პირველ ეტაპზე შემფასებელი კომისიის მიერ სამეცნიერო ნაშრომების შეფასებების შესახებ სამსახურებრივი ბარათის (მინიჭებული ქულების მითითებით) ბსუ-ს რექტორისთვის წარდგენა, შესაბამისი სექცი(ებ)ის კოორდინატორის მიერ;

ვ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის კოორდინირებული მუშაობით, I ეტაპზე შემფასებელი კომისიებისგან მიღებული ინფორმაციის დამუშავება და სექციების მიხედვით II ეტაპზე გადამსვლელი ნაშრომების გამოვლენა (უნდა შეირჩეს საუკეთესო/მაღალი ქულების მქონე ის ნაშრომები, რომლებსაც შემფასებელი კომისიის შეფასების მიხედვით პირველ ეტაპზე მისანიჭებელი 30 ქულის ფარგლებში მიღებული აქვს არანაკლებ 20 ქულა);

ზ) ჩასატარებელი სტუდენტური კონფერენციის სექციების განსაზღვრა სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ;

თ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ წინამდებარე წესისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სტუდენტთა კონფერენციის პროგრამის შედგენა და შესაბამის ინფორმაციასთან ერთად ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბსუ-ს პორტალზე განთავსება (პროგრამაში უნდა მიეთითოს კონფერენციის თითოეული სექციის მუშაობის დრო და ადგილი);

ი) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის კოორდინირებული მუშაობით, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტისა და ნაშრომების მე-2 ეტაპზე შემფასებელი, ასევე შემაჯამებელი კომისიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებების პროექტების მომზადება და წარდგენა;

კ) კონფერენციის ჩატარება, კონფერენციაზე საჯაროდ წარმოდგენილი ნაშრომების შეფასებების (პირველ და მე-2 ეტაპზე) დაჯამება შემაჯამებელი კომისიის მიერ და კონკურსის შედეგების შესახებ სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის და ნაშრომების ავტორთა მიმართ წახალისების ღონისძიებების გამოყენების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის

ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა (სამეცნიერო კვლევების სამსახურისა და რექტორის მოადგილის ვიზირებით).

3. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (რექტორის მოადგილის ვიზირებით) საფუძველზე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი, **ბსუ-ს სტუდენტებისა ან/და ბსუ-ს პერსონალის შემადგენლობით.** საორგანიზაციო კომიტეტის წევრები (მათ შორის კოორდინატორები) უზრუნველყოფენ:

ა) კონფერენციის თითოეული სექციის კოორდინირებას და ეტაპობრივად სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისათვის სამეცნიერო კონფერენციის მიმდინარეობის (სექცი(ებ)ის მუშაობის) შესახებ ინფორმაციის წარდგენას;

ბ) პირველ და მეორე ეტაპზე შემფასებელი კომისიების წევრების ინფორმირებას მათ მიერ განსახორციელებელი სამუშაოსა და ვადების შესახებ, ნაშრომების და შეფასების ფურცლების დაშტრიხული ფორმით მიწოდებას შემფასებელი კომისიების წევრებისათვის, შეფასებების შეგროვებას და კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისთვის წარდგენას;

გ) კონფერენციის გამართვის დღეს სექციის შეუფერხებელი მუშაობის, საორგანიზაციო საკითხების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური გამართულობის ხელშეწყობას;
დ) წინამდებარე წესისა და კონფერენციის გამართვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების მოთხოვნების დაცვასა და შესრულებას, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კოორდინირებით.
4. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (რექტორის მოადგილის ვიზირებით) საფუძველზე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება სტუდენტთა ნაშრომების <u>მე-2 ეტაპზე შემფასებელი</u> **კომისიები არანაკლებ 3 და არაუმეტეს 7 წევრის შემადგენლობით.**
5. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (რექტორის მოადგილის ვიზირებით) საფუძველზე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება სტუდენტთა ნაშრომების შემაჯამებელი კომისია სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სამეცნიერო კვლევების სამსახურის და საორგანიზაციო კომიტეტის წევრების შემადგენლობით.
6. წინამდებარე წესში აღნიშნული კომისიების წევრები ვალდებულნი არიან თავი აარიდონ ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას (არ შეაფასოს სამეცნიერო ნაშრომი, თუ ის ამ ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელია ან/და არსებობს პირდაპირი ნათესაური კავშირი (პირველი რიგის ნათესავია) სამეცნიერო ნაშრომის ავტორთან ან/და არსებობს ინტერესთა კონფლიქტის სხვა გარემოება).
7. კონფერენციის სექციები შეიძლება შეიქმნას სამეცნიერო დარგის/მიმართულების მიხედვით, მინიმუმ 5 სამეცნიერო ნაშრომის შემთხვევაში. 5-ზე ნაკლები ოდენობით ნაშრომის შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას <u>მომიჯნავე</u> სამეცნიერო დარგის სექცია. **ასევე დასაშვებია** შეიქმნას სექციები, პროფესიული პროგრამების/**უმაღლესი განათლების** <u>სწავლების საფეხურების/მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამების მიხედვით</u> ან გაერთიანებული (საფაკულტეტო) სექცია. სამეცნიერო

დარგის/მიმართულების მიხედვით მაგისტრანტების და დოქტორანტების 5-ზე ნაკლები სამეცნიერო ნაშრომის შემთხვევაში დოქტორანტის ან/და მაგისტრანტის სამეცნიერო ნაშრომი შეიძლება მიეკუთვნოს გაერთიანებულ საფაკულტეტო სექციას. გაერთიანებული საფაკულტეტო სექციის არარსებობის შემთხვევაში დოქტორანტის და/ან მაგისტრანტის სამეცნიერო ნაშრომი მიეკუთვნება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამის სტუდენტებისათვის შესაბამისი მიმართულებით შექმნილ სექციას.

8. ერთი პირის მიერ წარდგენილი 2 (ორი) სამეცნიერო ნაშრომის ერთ სექციაში მოხვედრის შემთხვევაში, წარდგენის ეტაპზე უნდა დაიშვას მხოლოდ ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც კომისიის გადაწყვეტილებით უფრო მაღალი შეფასება აქვს, ხოლო თანაბარი ქულების შემთხვევაში კონფერენციაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს ერთ-ერთმა ნაშრომმა, მისი ავტორის არჩევანის შესაბამისად (პორტალის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს განცხადება).

9. კონფერენციის პირველ ეტაპზე შემფასებელ კომისიას საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომები წარედგინება დაშტრიხული ფორმით.

მუხლი 4. სამეცნიერო ნაშრომების შეფასება

1. სამეცნიერო ნაშრომის შეფასება ხდება ორ ეტაპად, ჯამში 50-ქულით, მათ შორის:

ა) I ეტაპზე მაქსიმალური 30 ქულით - ფასდება მხოლოდ I ეტაპზე შემფასებელი არანაკლებ 3-წევრიანი კომისიის მიერ (სავალდებულოა ნაშრომი შეფასდეს კომისიის წევრთა არანაკლებ ნახევის მიერ);

ბ) II ეტაპზე (კონფერენციაზე საჯაროდ წარდგენის შემდეგ) მაქსიმალური 20 ქულით - შესაბამისი სექციის არანაკლებ **3 და არაუმეტეს 7 წევრის** შემადგენლობით კომისიის (შემდეგში - ,,II ეტაპზე შემფასებელი კომისია“) მიერ;

2. ნაშრომის შეფასების I ეტაპზე მაქსიმალური 30 - ქულიანი შეფასების კომპონენტებია:

ა) **კვლევა, ანალიზი და ლიტერატურის მიმოხილვა** - (სტუდენტი ავლენს საკვლევი თემის ცოდნას; საკითხი გაანალიზებულია ლოგიკურად; გამოყენებულია შესაბამისი ლიტერატურა) - მაქსიმალური 10 ქულა;

ბ) **თემის აქტუალობა და მიზანი** - (ნათლად არის გამოკვეთილი თემის აქტუალობა, მკაფიოდ არის დასმული საკვლევი კითხვა ან მიზანი)- მაქსიმალური 5 ქულა;

გ) **დასკვნა და არგუმენტაცია -** (დასკვნები გამომდინარეობს ტექსტში მოცემული მსჯელობიდან და არ არის ზოგადი ხასიათის) - მაქსიმალური 5 ქულა;

დ) **აკადემიური სტილი და ციტირების წესები -** (დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერება: გამოყენებული წყაროები მითითებულია სწორად, დაცულია ბიბლიოგრაფიის ფორმატირების წესი) - მაქსიმალური 5 ქულა;

ე) **ენობრივ-სტილისტური გამართულობა -** (ნაშრომი დაწერილია გასაგები ენით, ორთოგრაფიული, გრამატიკული და ტექნიკური შეცდომების გარეშე) - მაქსიმალური 5 ქულა.

3. ნაშრომის შეფასების II ეტაპზე მაქსიმალური **20 - ქულიანი** შეფასების კომპონენტებია:

ა) **პრეზენტაციის უნარი და აუდიტორიასთან კონტაქტი -** (მომხსენებელი საუბრობს თავდაჯერებულად, არ კითხულობს ფურცლიდან/ეკრანიდან, აქვს თვალის კონტაქტი აუდიტორიასთან) - მაქსიმალური 8 ქულა;

ბ) **კითხვა-პასუხი და დისკუსია** - (სტუდენტი ადეკვატურად და დამაჯერებლად პასუხობს ჟიურის/აუდიტორიის შეკითხვებს, იცავს საკუთარ პოზიციას) - მაქსიმალური 5 ქულა;
გ) **პრეზენტაციის გაფორმება -** (სლაიდები ვიზუალურად გამართულია, შრიფტი და გრაფიკული მასალა მარტივად აღქმადია, პრეზენტაციის დიზაინი შეესაბამება თემატიკას) - მაქსიმალური 4 ქულა;
დ) **რეგლამენტის დაცვა** - (მომხსენებელი იცავს გამოსვლისთვის გამოყოფილ დროის ლიმიტს) - მაქსიმალური 3 ქულა.
4. კონფერენციაზე ნაშრომთა საჯაროდ წარდგენის შემდეგ, **თითოეული სექციის მიხედვით** ,,მე-2 ეტაპზე შემფასებელი კომისია" ნაშრომებს შეაფასებს წინამდებარე მუხლში აღნიშნული II ეტაპის შეფასების კომპონენტების მიხედვით (რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით) და წარუდგენს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსს.

5. ,,შემაჯამებელი კომისია" შეაჯამებს ნაშრომთა ორივე ეტაპის შეფასებებს და მიღებული მაქსიმალური ქულების გათვალისწინებით გამოავლენს სექციის საუკეთესო ნაშრომს.

6. **მაგისტრანტის/დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამის სტუდენტებისათვის შექმნილ** სექციაში დარეგისტრირების შემთხვევაში, ,,შემაჯამებელი კომისია" კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით სტუდენტთა ქულების დაჯამების პროცესში არ ახდენს მაგისტრანტის/დოქტორანტის ნაშრომის ქულების დაჯამებას და შესაბამისად, შემდეგში არ ხორციელდება მაღალი ქულების მქონე ნაშრომის ავტორთა მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენება.

7. თანაბარი ქულების მქონე პირებს შორის გამარჯვებულის გამოვლენისათვის უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ კომპონენტებში მიღებულ მაღალ შეფასებას (,,ა"-დან ,,ე" ქვეპუნქტის ჩათვლით, თანმიმდევრობის დაცვით), ხოლო ასეთ შემთხვევაშიც თანაბარი ქულების მქონე კონკურსანტებს შორის გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ კომპონენტებში მიღებულ მაღალ შეფასებას (,,ა"-,დან ,,დ" ქვეპუნქტის ჩათვლით, თანმიმდევრობის დაცვით).

8. შემაჯამებელი კომისიის დასკვნა და სამსახურებრივი ბარათი გამარჯვებული სტუდენტების შესახებ სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ წარედგინება ბსუ-ს რექტორს.

მუხლი 5. კონფერენციის მონაწილეთა წახალისების სახეები

1. შემაჯამებელი კომისიის დასკვნის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით) კონფერენციის სექციების მიხედვით **გამოვლენილი საუკეთესო ნაშრომის ავტორების მიმართ წახალისების შემდეგი ღონისძიებების** (სახეები) გამოყენების თაობაზე (მხოლოდ შესაბამის საფეხურზე ბსუ-ს სტუდენტის/ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის ან/და მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე აქტიური სტატუსის შემთხვევაში):

ა) გადაეცემა ბსუ-ს სტუდენტური საუნივერსიტეტო კონფერენციის საუკეთესო ნაშრომის სერტიფიკატი;

ბ) ნაშრომი გამოქვეყნდება ბსუ-ს შესაბამის სამეცნიერო ჟურნალში (გადაეცემა ბსუ-ს უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს/პირს, შემდგომი რეაგირებისათვის);

გ) საუნივერსიტეტო კონფერენციის შედეგების გათვალისწინებით გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ ბსუ-ს სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაუფინანსდება შესაბამის სამეცნიერო ან პრაქტიკულ ღონისძიებაში მონაწილეობა, **ჯამში არაუმეტეს 2500 ლარის ფარგლებში** (ერთიდაიმავე პირის მიერ 2 საკონფერენციო ნაშრომის წარდგენის და გამარჯვების შემთხვევაშიც), მათ შორის: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია/ფორუმი/ სემინარი - არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით; ადგილობრივი კონფერენცია/ფორუმი/ სემინარი - არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით; საერთაშორისო ან ადგილობრივი ტრენინგი/ვორქშოპი/სტაჟირება - არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით. გამარჯვებული საკონფერენციო ნაშრომის თანაავტორობის შემთხვევაში, დაჯილდოების თანხა თანაბრად ნაწილდება ნაშრომის ავტორებს შორის (თითოეულ ავტორს უფლება აქვს, შესაბამის ღონისძიებაში ინდივიდუალურად მიიღოს მონაწილეობა და ბსუ-საგან მოითხოვოს და მიიღოს დაფინანსება დამოუკიდებლად, საკუთარი წილის ფარგლებში (თანაავტორთა რაოდენობის პროპორციულად), ამ პუნქტით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

2. კონფერენციის სექციების მიხედვით კონფერენციის მონაწილე თითოეულ სტუდენტს, რომელსაც მიღებული აქვს ორივე ეტაპის შეფასება, მაგრამ ვერ მოიპოვა საუკეთესო ნაშრომის ავტორის სტატუსი, რექტორის ბრძანების შესაბამისად გადაეცემა უნივერსიტეტის სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილის სერტიფიკატი.

3. კონფერენციის სექციების მიხედვით კონფერენციის მონაწილე **სხვა** უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის გამოვლენის შემთხვევაში (საუკეთესო ნაშრომის ავტორს), რექტორის ბრძანების შესაბამისად:

ა) გადაეცემა ბსუ-ს სტუდენტური საუნივერსიტეტო კონფერენციის საუკეთესო ნაშრომის სერტიფიკატი;

ბ) ნაშრომი გამოქვეყნდება ბსუ-ს შესაბამის სამეცნიერო ჟურნალში (გადაეცემა ბსუ-ს უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს/პირს, შემდგომი რეაგირებისათვის);

4. კონფერენციის მონაწილე ბსუ-ს იმ მაგისტრანტის შემთხვევაში, რომლის საკონფერენციო **ნაშრომი შეეხება სამაგისტრო ნაშრომის თემას ან** დარგის/ქვედარგის თემატიკას ან/და ბსუ-ს **დოქტორანტის** შემთხვევაში, რომელიც კონფერენციაზე მონაწილეობისათვის დარეგისტრირდა და მიეკუთვნა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტების ნაშრომების სექციას ან გაერთიანებულ საფაკულტეტო სექციას, რექტორის ბრძანების შესაბამისად:

ა) გადაეცემა უნივერსიტეტის სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილის სერტიფიკატი;

ბ) ნაშრომი გამოქვეყნდება ბსუ-ს შესაბამის სამეცნიერო ჟურნალში (გადაეცემა ბსუ-ს უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს/პირს, შემდგომი რეაგირებისათვის).

,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის

ჩატარების **წესის“**

ფორმა №1 - სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა

ბსუ-ს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი **სამეცნიერო ნაშრომის სრული სათაური:** **კონფერენციის სექციის დასახელება:**	
1. **ნაშრომის ავტორის სახელი და გვარი;** 2. ნაშრომის მე-2 ავტორის სახელი და გვარი (თუკი ერთობლივი ნაშრომია)	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეული, სადაც სწავლობს ნაშრომის ავტორი **(ბსუ-ს ფაკულტეტი/**ბსუ-ს **პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი)**	
სხვა საგანმანათლებლო **დაწესებულების** დასახელება, თუკი წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი არის **სხვა უსდ-ს სტუდენტი**	
ბსუ-ს უმაღლესი**/პროფესიული** საგანმანათლებლო **პროგრამის დასახელება** (რომელზეც სწავლობს ნაშრომის ავტორი)	
უმაღლესი განათლების საფეხური (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა/ერთსაფეხურიანი/ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/დოქტორანტურა)**/პროფესიული პროგრამის დონე**	
ნაშრომის ავტორის **ტელეფონი**	
ნაშრომის ავტორის **ელფოსტა**	
ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი, ბსუ-ში დაკავებული თანამდებობა/სტატუსი (ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული მასწავლებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი/ბსუ-ს ემერიტუსი/ბსუ-ს დოქტორანტი)	

ნაშრომის შესახებ ინფორმაციის დაფორმატებისას გამოიყენება შემდეგი პარამეტრები:

ა) შუა ნაწილში უნდა დაიწეროს სამეცნიერო ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა -16) (მას არ მიეწერება სიტყვა ”თემა” და არც ბრჭყალებში უნდა ჩაისვას);
ბ) ნაშრომის დასახელების ქვემოთ, მარჯვენა ქვედა მხარეს დაიწეროს ნაშრომის ავტორ(ებ)ის სახელი, გვარი (შრიფტის ზომა - 12);
გ) ნაშრომის ავტორ(ებ)ის სახელისა და გვარის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს დაიწეროს უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და პროგრამის დასახელება საფეხურის მითითებით (შრიფტის ზომა - 10);
დ) უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და პროგრამის დასახელების ქვემოთ, მარჯვენა მხარეს დაიწეროს საკონტაქტო ინფორმაცია (შრიფტის ზომა - 10);

ე) საკონტაქტო ინფორმაციის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს დაიწეროს ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, დაკავებული აკადემიური თანამდებობა (სხვა უნივერსიტეტის აკადემიური პირის შემთხვევაში, იმ უნივერსიტეტის დასახელება) (შრიფტის ზომა - 10);
ვ) თავსართის გვერდიდან იწყება გვერდების ნუმერაცია. არაბული ციფრებით (1).

აბსტრაქტი

აბსტრაქტში ასახული უნდა იყოს სამეცნიერო ნაშრომის თემატიკა და საკვლევი საკითხი, კვლევის მეთოდი, მიზან(ებ)ი, ძირითადი მიგნებები, დასკვნები და სხვა. აბსტრაქტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 200 სიტყვა

---------- ----------.

საკვანძო სიტყვები: _____ , _____, _____, _____ (არაუმეტეს 4 სიტყვისა).

აბსტრაქტის დაფორმატებისას გამოიყენება შემდეგი პარამეტრები:

● შრიფტი - Sylfaen .
● შრიფტის ფორმა და ზომა: სათაური - 14, გამუქებული და სწორი; აბსტრაქტის ტექსტი - 12 და სწორი;
● ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან -1.5 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან 2.5ს;
● ტექსტის კიდეები გასწორებულია ორივე მხარეს;
● სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
● სათაურსა და ტექსტს შორის დაშორება - 2 სტრიქონი;

შესავალი

შესავალი წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი საკითხების ზოგადი მიმოხილვას, სადაც კარგად უნდა იყოს გამოკვეთილი თემის აქტუალობა, დასახულ მიზნები, ამოცანები და სხვა ასპექტები კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე. ძირითადი ნაწილი სამეცნიერო ნაშრომის ამ ნაწილში გაშლილი უნდა იყოს ძირითადი საკითხები და თემატიკა. ძირითადი ნაწილი შესაძლოა დაიყოს თავებად და ქვეთავებად. ძირითად ნაწილში შეიძლება წარმოდგენილი იყოს თვალსაჩინოებებიც (ცხრილები, გრაფები, სურათები და სხვა), თუმცა, სასურველია მცირე რაოდენობით. თვალსაჩინოება უნდა იყოს დასათაურებული და ასევე შესაძლებელია მას ახლდეს შენიშვნა, რომელიც უნდა განთავსდეს თვალსაჩინოების ქვემოთ. იმ შემთხვევაში თუ თვალსაჩინოება განსხვავებული ფორმატის ფაილია (JPEG ან სხვა), წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართის სახით წარმოდგენაც (დანართის გვერდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 გვერდს).

დასკვნა

სამეცნიერო ნაშრომის დასკვნით ნაწილში უნდა მოხდეს მანამდე დასმული და წარმოჩენილი საკითხების შეჯამება, კვლევის პროცესში არსებული დაბრკოლებების და ახალი მოსაზრებების/რეკომენდაციების განსაზღვრა.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ნაშრომს ბოლოს უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, სადაც წარმოდგენილი იქნება ნაშრომში გამოყენებული წყაროები. წყაროების მითითებისას და ბიბლიოგრაფიის შედგენისას იხელმძღვანელეთ ,,ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის

შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N110 დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული წესის დაუცველობა ჩაითვლება პლაგიატად, რაც ისჯება სტუდენტის სტატუსის შეჩერებით.

ნაშრომის ტექსტის დაკაბადონება უნდა შესრულდეს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე; ბ) შრიფტის სახე - Sylfaen; გ) ტექსტის შრიფტის ზომა - 12; გ) თავების/პარაგრაფები: პირველი დონის სათაური - 14, გამუქებული და სწორი; მეორე დონის სათაური - 12, გამუქებული და დახრილი; მესამე დონის სათაური - 12 და დახრილი დ) სქოლიოს შრიფტის ზომა -10; ე) სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი; ვ) სათაურსა და ტექსტს შორის დაშორება - 2 სტრიქონი; ზ) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან -1.5 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან 2.5ს; თ) ნაშრომის მოცულობა - დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ არაუმეტეს 10 გვერდი და არანაკლებ 5 გვერდისა, ე) სტატიის გვერდები ინომრება არაბული ციფრებით (1,2,3,4 და ა.შ.).

ფორმა №2 – სტუდენტის განცხადება ნაშრომის ორიგინალობაზე

ბსუ-ს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი **ნაშრომის ავტორის განცხადება** **ნაშრომის ორიგინალობაზე**	
ნაშრომის დასახელება	
ნაშრომის ავტორის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ნაშრომის მე-2 ავტორის სახელი, გვარი და პირადი ნომერი (თუკი ერთობლივი ნაშრომია)	
ტელეფონი	
ელფოსტა	
ბსუ-ს უმაღლესი/**პროფესიული** საგანმანათლებლო **პროგრამის დასახელება** (რომელზეც სწავლობს ნაშრომის ავტორი)	
სხვა საგანმანათლებლო **დაწესებულების და საგანმანათლებლო პროგრამის** დასახელება, თუკი წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი არის **სხვა უსდ-ს სტუდენტი**	
წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია ,,ბსუ-ს სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის“ და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის“ მოთხოვნების შესაბამისად და გთხოვთ, ამ განცხადების საფუძველზე, წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი დაუშვათ ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე.	
განცხადების წარმოდგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
ავტორის ხელმოწერა:	

ჩატარების **წესის“ ფორმა №3** – სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის **განცხადება/დასკვნა** სტუდენტის ნაშრომის შესაბამისობაზე

ბსუ-ს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობისათვის წარმოდგენილი საკონფერენციო ნაშრომის **სამეცნიერო ხელმძღვანელის განცხადება/დასკვნა** ნაშრომის შესაბამისობაზე	
ნაშრომის **სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი და გვარი**	
ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის **სახელი, გვარი, ბსუ-ში დაკავებული თანამდებობა/სტატუსი** (ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული მასწავლებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი/ბსუ-ს ემერიტუსი/ბსუ-ს დოქტორანტი)	
ნაშრომის დასახელება	
ნაშრომის ავტორის სახელი, გვარი ნაშრომის მე-2 ავტორის სახელი, გვარი (თუკი ერთობლივი ნაშრომია)	
სამეცნიერო ხელმძღვანელის **ტელეფონი**	
სამეცნიერო ხელმძღვანელის **ელფოსტა**	
სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შეფასება	
თემის აქტუალობა და მნიშვნელობა - (მოკლე აღწერა თემის აქტუალობისა და მნიშვნელობის შესახებ).	
მეთოდოლოგია და წყაროებთან მუშაობა - (შეაფასეთ, რამდენად სწორად არის შერჩეული ლიტერატურა და რამდენად თანმიმდევრულია საკითხის დამუშავების პროცესი)	
სტუდენტის მიერ გამოვლენილი უნარები - (აკადემიური პასუხისმგებლობა, დამოუკიდებელი კვლევის უნარი, კრიტიკული აზროვნება).	
ნაშრომის ანალიტიკური დონე და შესაბამისობა სტანდარტებთან - (არგუმენტაციის ლოგიკა, დასკვნების ჩამოყალიბების უნარი და აკადემიური წერის სტანდარტების დაცვა).	

სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შეფასების შედეგი (დასკვნა)
წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია ,,ბსუ-ს სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის“ და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის“ მოთხოვნების შესაბამისად და როგორც ამ ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რეკომენდაციას ვუწევ იგი დაიშვას ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე.

განცხადების/დასკვნის წარმოდგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
ხელმოწერა:	